

დანართი 5

დამტკიცებული შპს ავიცენას საერთაშორისო
საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის
2020 წლის 01 სექტემბრის № 01/22 ბრძანებით



შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული
საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევის
წესი

თბილისი

2020

მუხლი 1. ზოგადი დებულება

- 1.1. წინამდებარე პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევის წესი (შემდგომში წესი) მიზნად ისახავს კვალიფიციური, სათანადო ცოდნის, გამოცდილებისა და საჭირო უნარ-ჩვევების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევას;
- 1.2. პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევა ხორციელდება წინამდებარე წესისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2. პროფესიული განათლების მასწავლებლი

- 2.1. პროფესიული განათლების მასწავლებელი არის პირი, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავს პროფესიული განათლების ფარგლებში;
- 2.2. პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა ჰქონდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომომუშავებისა და მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების დადასტურებული კომპეტენცია;
- 2.3. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი ან პროფესიული განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი დარგობრივი პროფილით მუშაობისა და/ან პედაგოგიური საქმიანობის მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება.

მუხლი 3. კონკურსის ორგანიზების წესი და პირობები

- 3.1. პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის მიზნით, დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზე ან/და დასაქმების შესაბამის ვებ-გვერდებზე ქვეყნდება ინფორმაცია პროფესიული განათლების მასწავლებლის ვაკანსიის შესახებ, სადაც მითითებულია ვაკანსიის დასახელება, კონკურსის ეტაპები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია, საკონკურსო განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის, ასევე, სააპელაციო განაცხადის წარმოდგენის ვადები და სხვა პირობები;
- 3.2. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შეიძლება იყოს მოწვეული პირი;
- 3.3. საკონკურსო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს იმავე კონკურსში მონაწილე კანდიდატი ან ინტერესთა კონფლიქტის მქონე პირი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- 3.4. კონკურსის ტექნიკურ ორგანიზებას (კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირთა განცხადებების მიღება, რეგისტრაციაში გატარება, საკონკურსო კომისიის შესაბამისი მასალებით უზრუნველყოფა, კონკურსის დასრულების შემდეგ საკონკურსო მასალების შენახვა, კონკურსანტთათვის ინფორმაციის მიწოდება) უზრუნველყოფს კოლეჯის საქმისწარმოებისა და პერსონალის მართვისა სამსახური;
- 3.5. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორესა და ნამდვილობაზე პასუხისმგებელია დოკუმენტაციის წარმომდგენი პირი;
- 3.6. კონკურსი შედგება ორი ეტაპისგან. პირველი ეტაპი მოიცავს კონკურსანტის მიერ საკონკურსო განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენას საკონკურსო განაცხადით მოთხოვნილ დოკუმენტაციის ნუსხასთან. კონკურსის მეორე ეტაპზე ტარდება კონკურსანტთან გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია (აღნიშნული შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებით დაკონკრეტდება საკონკურსო განაცხადში);

- 3.7. საკონკურსო განაცხადით მოთხოვნილი დოკუმენტების არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში, კანდიდატს ეძლევა ვადა კონკურსის პირველი ეტაპის (საბუთების გადარჩევის) დადგომამდე, ხარვეზის გამოსასწორებლად. აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ პირი კარგავს კონკურსის შემდეგ ეტაპზე დაგასვლის უფლებას;
- 3.8. საკონკურსო კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს საკონკურსო კომისიის მდივანი, რომელიც ამავდროულად არის კომისიის წევრი;
- 3.9. კომისიის მდივანი განისაზღვრება საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ დირექტორის სამართლებრივი აქტით;
- 3.10. კონკურსის ეტაპების დასრულების შემდეგ დირექტორი გამოსცემს ბრძანებას და შერჩეულ პროფესიული განათლების მასწავლებლის კანდიდატ(ებ)თან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნების დაცვით;
- 3.11. კონკურსანტი უფლებამოსილია საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს კოლეჯში საკონკურსო განაცხადში მითითებულ ვადაში;
- 3.12. გასაჩივრების შემთხვევაში დირექტორის ბრძანებით იქმნება სააპელაციო კომისია. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია გამოითხოვოს საკონკურსო მასალები, შეისწავლოს დოკუმენტაცია და მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:
- ა) ძალაში დატოვოს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება;
 - ბ) საკონკურსო კომისიას უკან დაუბრუნოს მასალები ხელახალი განხილვის მიზნით.
- 3.13. კონკურსანტი უფლებამოსილია საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გაასაჩივროს სასამართლოში. საჩივრის განხილვა;
- 3.14. საკონკურსო კომისია აწარმოებს ოქმს, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე (განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით კონკურსის გამოცხადების შესახებ) და კომისიის მდივანი.
- 3.15. საკონკურსო კომისიის თითოეული პირი შესაბამისი კრიტერიუმებით აფასებს კონკურსანტს 3 ბალიანი სისტემით (1-დან 3-მდე). სადაც 3 მაქსიმალური, ხოლო 1 მინიმალური შეფასებაა (3 - კარგი, 2 - დამაკმაყოფილებელი, 1 - ცუდი. სასურველია ქულას ახლდეს მოკლე განმარტება/აღწერა. კანდიდატმა უნდა დააგროვოს მაქსიმალურ ქულათა არანაკლებ 60%. ქულების გამოთვლა ხორციელდება შემფასებლების მიერ დაწერილი ქულების საშუალო არითმეტიკულით.
- 3.16. საჩვენებელი ლექციის შეფასების კრიტერიუმებია:
- ა. გაბმული/თამნიმდევრული თხრობა;
 - ბ. გაბმული/თამნიმდევრული;
 - გ. აუდიტორიასთან კონტაქტი;
 - დ. სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული ლიტერატურა;
 - ე. საჩვენებელი ლექციის ჩატარებისას გამოყენებული სწავლების მეთოდები;
 - ვ. შეკითხვებზე პასუხის გაცემის უნარი.
- 3.17. გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები:
- ა. კომუნიკაციის უნარი;
 - ბ. პასუხების დამაჯერებლობა;
 - გ. კარიერული მიზნები/მოტივაცია;
 - დ. ანალიტიკური აზროვნების უნარი;
 - ე. დარგის სპეციფიკის ცოდნა /კონცეფცია.

მუხლი 4. პროფესიული განათლების მასწავლებლის ვაკანსიაზე წარმოსადგენი დოკუმენტაცია

- 4.1. პროფესიული განათლების მასწავლებლის კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:
- ა. განცხადება დირექტორის სახელზე;

- ბ. პასპორტის/პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- გ. ავტობიოგრაფია-cv;
- დ. განათლებისა დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლთან ერთად);
- ე. შესაბამისი პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის (არსებობის შემთხვევაში) ასლი;
- ვ. არსებობის შემთხვევაში სხვა დოკუმენტები (სიგელები, დიპლომები, სერთიფიკატები და სხვა) ასლები,

მუხლი 5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევა

- 5.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ან პირი;
- 5.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევის მიზნით, დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შექმნილი სპეციალური კომისია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს შორის ატარებს შესარჩევ კონკურსს;
- 5.3. შესარჩევი კონკურსის პირობები და კრიტერიუმები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით;
- 5.4. კონკურსს ვალდებულია წარმოადგინოს ავტობიოგრაფია და საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების ხედვა. პირველი ეტაპის გადალახვის შემდეგ საკონკურსო კომისიასთან გაიაროს გასაუბრება;
- 5.5. კონკურსი ტარდება წინამდებარე წესის მე-3 მუხლში გაწერილი ეტაპების შესაბამისად;
- 5.4. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს კოლეჯის დირექტორი;
- 5.5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს წარმოუდგინოს შესრულებული სამუშაოს წლიური ანგარიში; ანგარიშის წარმოუდგენლობა ან შესაბამისი პროგრამის ვერიფიცირების უარყოფითი შედეგები შესაძლოა გახდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი.

მუხლი 6. ცვლილებები და დამატებები წინამდებარე წესში

- 6.1. წინამდებარე წესი მტკიცდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით;
- 6.2. წინამდებარე წესში ცვლილებები და დამატებები შედის დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე.